„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №2 (280) 27 თებერვალი, ოთხშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

8 თებერვალი-დავით აღმაშენებლის ხსენების დღე

,,ფეხი დამადგით, გულზე
დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან"

საქართველოს დემოკრატიის არ სჯერა, მისი შედეგები ხალხის ცხოვრებაზე უნდა აისახებოდეს და არა - ხელისუფლების

ერთი ვირტუალური და ორი რეალური ქვეყანა პარადოქსებით: როცა ეკონომიკა ყვავის, მაგრამ ხალხი გარბის

მე-2 გვ.

„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!"

ნუგზარ ნადარაია-74

26 თებერვალს დაიბადა დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნადარაია

ვულოცავთ!

მრავალჟამიერ, ბატონო ნუგზარ!

მე-5 გვ.

ღირსეულად ავღნიშნოთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების - ეროვნული გმირების 80 წლისთავი

ერთი საუკუნის ორი დიდი ტრაგედია- ნიწამური- ხიბულა ...

სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარის გუბერნატორი აღექსანდრე მორწერელია ფოთში პირველი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამოაზრეებს და მომხრეებს შეხვდა

მე-4 გვ

სიახლე წიგნის სამყაროში

გამოვიდა აღექსანდრე (აღეკო) დოლბაიას ღექსთა კრებული რომანტიკული სახელწოდებით- ,,ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი"

მე-5გვ.

სამძიმარი

გერონტი კუხალეიშვილის

გარდაცვალების გამო

გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე გერონტი კუხალეიშვილი, პიროვნება, რომლის ცხოვრება განუყოფელი იყო ქალაქისა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის ზრუნვისგან.

დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ბატონ გერონტის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, თანაქალაქელებს ამ დიდ და აუნაზღაურებელ დანაკლისს. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ფოთელთა გულში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია მეთევზეებს შეხვედა

მე-6 გვ.

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის სხდომა არქივის ახალ შენობაში

გვიხმობენ ისტორიის ფოლიანტები

მე-6 გვ.

ვანო ზოდელავას ნათელ ხსოვნას

მე-2 გვ.

მოვაცილოთ ისტორიას ბურუსის საბურველი

ლაზეთ - სამეგრელოს ერთიანობის უკანასკნელი ბასტიონის დამცველები მამა-შვილი ჯანიკლი და ბათალი (ანუ კარგად დავიწყებული ისტორია)

მე-7 გვ.

სამძიმარი

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემია და მისი პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის საპატიო მოქალაქე

გერონტი კუხალეიშვილი.

გამოვთქვამთ, რა დიდ სინანულს, გულითადად ვიზიარებთ ოჯახისა და ახლობლების უდიდეს მწუხარებას

ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა

მე-6 გვ.

საქართველოს დემოკრატიის არ სჯერა, მისი შედეგები ხალხის ცხოვრებაზე უნდა აისახებოდეს და არა ხელისუფლების...

ერთი ვირტუალური და ორი რეალური ქვეყანა პარადოქსებით: როცა ეკონომიკა ყვავის, მაგრამ ხალხი გარბის

სახელმწიფო მშენებლობის გარკვეული წარმატებების მიუხედავად, დემოკრატიული პროცესები ნელა ვითარდება.

,,ქართულ ოცნებას" შეეძლო პარტიად ჩამოყალიბება და არ ყოფილიყო ერთ კაცზე დამოკიდებული, მაგრამ ცდუნებას ვერ სძლია. თვითკმაყოფილება დაეუფლა, ხალხი უკმაყოფილო დარჩა, ამაზე მიანიშნებს საპრეზიდენტო არჩევნები და ბოლო მოვლენები კორუმპირებულ მოსამართლეთა გამოაშკარავება, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკა. სხვა შემთხვევაში კრახი გარდაუვალია.სანამ ვიცხოვროთ იმის შეგრძნებით, რომ ძალადობრივი რეჟიმი დავამხეთ!

საქართველო ჩვენი მთავრობის და უცხოელების შეფასებით დემოკრატიული და ეკონომიკური თვალსაზრისით წინ მიიწევს. ტარდება რეფორმები,შენდება პორტები, რკინიგზები, აეროპორტები. მატულობს ტვირთნაკადები, ევროკავშირი დადებით შეფასებას გვაძლევს, მალე მიგვიღებენ ნატოში და ა. შ. თუმცა, ამ წარმატებების მიღმა არის დემოკრატიით თავმობეზრებული და დაღლილი, არაადეკვატური საქართველო. სადაც, გაღარიბებულთ ნაკლებად სჯერა ამდენი პროექტების და გეგმების, ეკონომიკური გაბრწყინების და კარგი ცხოვრების. თითქოს, პრემიერი სხვა ქვეყნის ამბებს ყვება.არადა, სიღარიბე ხრავს ქვეყანას, ინგრევა ოჯახები. სახეზეა ზნეობრივი დეგრადაცია-შვილი დედას კლავს, დედა-შვილს, მამა ქალიშვილზე ძალადობს, ინსტიქტებამდეა დასული მოსახლეობის ერთი ნაწილი, უმუშევრობის გამო იცვლება სოფლები და ქალაქები. ამ დროს პოლიტიკოსები თავის სტიქიაში არიან, დრო გადის საპარლამენტო კინკლაობასა თუ დებატებში, ცხოვრება თავისი გზით მიდის-მდიდრები მდიდრდებიან, ღარიბები კი უფრო ღარიბდებიან. სახეზეა ველური კაპიტალიზმი, ქვეყნის ქონება გადანაწილებულია, ხალხი მხოლოდ დემოკრატიულ საშუალებად რჩება. მათი ჯანმრთელობის შერყევის ხარჯზე ვიღაც მდიდრდება. იზრდება ფასები წამლებზე, პროდუქტებზე, საწვავზე და ა.შ. ხალხი გმინავს და ცოტა დრო დარჩა იქამდე ვიდრე ხარხარს დაიწყებდეს, ეს კი ცუდის მომასწავებელია. მთავრობას კი ამის არ სჯერა, პატეთიკური ტონით თავისას არ იშლის. რატომღაც არ ჩანს, რომ დასკვნები კეთდება საპრეზიდენტო არჩევნებიდან. სააკაშვილის მხარდაჭერა არ ნიშნავს ,,ნაცების" გამოსწორებას, მაგრამ ის რომ ,,ოცნება" ვერ ასრულებს დანაპირებს, ცხადზე უცხადესია.

უპირველესად, ეს არის სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის გასამართლება და ქვეყნის დაცინვაა, როცა ეს ვითომ პოლიტიკური ლიდერი მსოფლიოს, სხვადასხვა ქვეყნებში ქართველ ემიგრანტებს, ანუ იმ ხალხს ხვდება, ვინც თავად ჩააგდო ამ დღეში და ცალკე შეიქმნა ემიგრანტთა საქართველო.

ასე, რომ მივიღეთ საქართველო, ორი რეალური და ერთი ვირტუალური, სადაც ყველაფერი ყვავის, მაგრამ ადამიანები იქედან გარბიან და ამას სათავე დაუდვეს ,,ნაციონალებმა" და დღესაც ხელშემშლელ ფაქტორად რჩებიან.

აი, ასეთი სურათი გვაქვს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის 30 წლისთავის წინ, და, რაც მთავარია, წინა გვაქვს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც რეალურად უნდა გადაწყვიტოს საით წავალთ, წინ, თუ - უკან.

ივანიშვილის ხელისუფლებაზე და პირადად მასზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული რათა რადიკალურად შეიცვალოს სიტუაცია და ხელისუფლებაში დარჩნენ და მოვიდნენ პროგრესული ძალები ყველა პარტიიდან. უნდა ჩატარდეს ძირეული საკადრო ცვლილებები ცენტრსა და რეგიონში, უნდა აღსდგეს სოციალური წონასწორობის ბალანსი და არ უნდა იყვნენ პრივილიგირებულ მდგომარეობაში მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, მთავრობის და პარლამენტის წევრები, პროკურორები და მოსამართლეები და ა. შ. რომელთა სიმდიდრე ვიზუალური თვალსაზრისითაც იწვევს უმუშევრობით განწამები ხალხის მწარე რეაქციას. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს პროკურორების და მოსამართლეების მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელიც ინგლისის დედოფალსაც კი შეშურდებოდა.

განსაკუთრებით დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა ასეთ ფონზე მოსამართლეთა უვადოდ განწესების პროცედურას.

სამწუხაროდ, ამ სიას თავში მოექცნენ ძალადობრივი რეჟიმის მთავარი გმირები მურუსიძე-ჩინჩალაძის ხელმძღვანელობით, სამწუხაროდ, ჯალათების ამ ტანდემს მხარდაჭერა აქვს არა ,,ნაცების," არამედ ,,ოცნების" ლიდერთა მხრიდან. ეს ამ პარტიის აქილევსის ქუსლად იქცა და მიმდინარეობს დავა-დატოვონ თუ არა ისინი თანამდებობებზე, რაც ბევრ საეჭვო კითხვას ბადებს. მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რითაც დაიწყო-1912 წელს გირგვლიანის მკვლელობისა და მკვლელების მხარდამჭერ მოსამართლეთა პროტესტის გამო, ისევ იქამდე მივედით და ასპარეზს ვუთმობთ იმ მოსამართლეებს, რომელთაც რეჟიმის ზეწოლას ვერ გაუძლეს და არიგებდნენ სიკვდილის საგზურებს. რა გარანტიაა ისევ ის რეჟიმი არ მოვა და ისევ ვერ გაუძლონ ზეწოლას. ამ მოსამართლეებს ლომის წილი უდევთ ქვეყნის დაქცევაში და გამოდის უვადოთ ვაკანონებთ უსამართლობას, კორუფციას და ქვენის ნგრევას. მათ კისერზეა ის ცოდვა, როცა უსამართლობას გაექცა ხალხი ქვეყნიდან. ამიტომაც სწორია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსამართლეებს ხალხი უნდა ირჩევდეს. ამათ თავად უნდა გაუმართო სასამართლო და პასუხი მოთხოვო ჩადენილი დანაშაულებისათვის.

დღეს ყველაზე, მტკივნეულია ქართველთა გადინება ქვეყნიდან, ემიგრანტები უფრო მეტია, ვიდრე დარჩენილი ქართველები. მალე, ალბათ, ემიგრაციაში მოგვიწევს არჩევბნების ჩატარება. ,,შენ ვინ მოგცა-საქართველო შვილი დასაკარგავი" ეს ფრაზა,ალბათ, ძალას კარგავს, რამეთუ შვილი კიარა ლამის მთელი ქვეყანა დავკარგოთ თუ ასე გაგრძელდა. არც ისაა დასამალი, რომ დარჩენილ საქართველოს ისინი არჩენენ და ხელს უწყობენ ქვეყნის სტაბილიზაციას სოციალური თავლსაზრისით. სხვა შემთხვევაში ძალიან მძიმე სურათი გვექნებოდა და ქვეყანა დადგებოდა ყოფნა არ ყოფნის წინაშე. თუმცა, ერთ დროს ემიგრანტები უნდა დაბრუნდნენ, რამეთუ ეს ქვეყანა მათი გადასარჩენია. რამეთუ მათ კარგად იციან რომ ,,სამშობლო იწყება არა მაშინ, როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება". არ შეიძლება ეს ბიბლიური შეგონება არ აწვალებდეს ქართველთა ემიგრაციას. თუმცა, ვიღაც სამშობლოთი და საფლავებით ვაჭრობს. მიხეილ სააკაშვილი, როგორც ავღნიშნეთ, ემიგრანტებში ეძებს საარჩევნო დასაყრდენს. სამწუხაროა, რომ, ვიღაცას სააკაშვილის გარდაქმნისა და ახალი იდეების სჯერა. არადა, მას ამ ადამიანების ბედი ნაკლებად აწუხებს და ყველაფერს კადრულობს ხელისუფლებაში მოსასვლელად და მათ წინაშე ხელგაწვდილი პოლიტიკური მათხოვარი და შარლატანი დგას, გაკოტრებული ყველა პარამეტრით - ხელისუფლებიდან დევნილი, ჩაგრული და საწყალი პატრიოტი პოლიტიკოსის როლში.

ქვეყნის გადარჩენა და მომავალი განათლებულ ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული, რომელსაც ნარკოტიკით კია არ უნდა ვაბრუებდეთ და უზნეობის პროპაგანდით ინსტიქტამდე კი არ უნდა დაგვყავდეს, არამედ ხელს უნდა ვუწყობდეთ, რათა, ეზიარონ უმაღლეს ადამინურ ღირებულებებს და მიიღონ 21-ე საუკუნის შესაფერისი განათლება.

სამწუხაროდ, 30 წელია საქართველოში განათლების სისტემა ცდის პირად იქცა, ყბადაღებული დემოკრატია, თავისუფლება და ლიბერალიზმი, იქამდე მივიდა რომ, მოსწავლეებმა ლამის მიატოვონ სწავლა. შედეგიც სახეზეა, ვერ აბარაებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს. ამას ემატება ისიც, რომ სკოლას ტოვებენ მე-9 კლასიდან. რაც ქმნის სკოლების გაუქმების საშიშროებას. სამწუხაროდ, დღევანდელი სამინისტრო გამოსავალს გამოცდების გაუქმებაში ხედავს, რაც საბოლოოდ მოშლის ამ სისტემას. უბედურება ისაა, რომ ყოველ წელს იცვლებიან მინისტრები, იცვლება პროგრამები, სკოლიდან განდევნეს დედაენა, ვაჟა,ილია, აკაკი სამაგიეროდ მრავლდებიან რეპეტიტორები, ხოლო საამისო ფინანსური საშუალება ძალიან ცოტას აქვს.

განათლებაც თითქოს ჰყვავის, მაგრამ წინსვლის რა გითხრათ. სოციალურ სიღარიბეს შეიძლება ეშველოს, მაგრამ განათლებით ღარიბი ერი განწირულია დაღუპვისაკენ.

იმედია, ქვეყანა დაადგება განვითარების თანამედროვე და ცივილიზებულ გზას.

ზ. აბრალავა

ვანო ზოდელავას ნათელ ხსოვნას

წელიწადზე მეტი ებრძოდა სიკვდილს ტრაგიკული შემოხვევის გამო. დასანანია, რომ ასე გამოეთხოვა წუთისოფელს უკეთილშობილესი პიროვნება, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ბატონი **ვანო ზოდელავა**. იგი დაიბადა გამორჩეული პარტიული და საზოგადო მოღვაწეების **ნინო ჟვანიასა** და **ვანო ზოდელავას** ოჯახში. ბატონ ვანოს, დედით ფოთელს, ძალიან უყვარდა მისი ბავშვობის - ლეგენდების ქალაქი ფაზისი. ასევე უსაყვარლესი ადგილი იყო სიყმაწვილისა და ოცნების ქალაქი თბილისი, რომლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ წლების განმავლობაში მუშაობდა ქალბატონი ნინო ჟვანია. ოჯახურმა გარემომ განსაზღვრა მომავალი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის გზა. სიმბოლურია, რომ სრულიად ახალგაზრდა პიროვნება ფოთისა და თბილისის მერად აირჩიეს ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მძიმე დროს და განსაკუთრებული, თანდაყოლილი, ორგანიზატორული ნიჭით წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. სიმბოლურია ისიც, რომ მისი მშობლები იბრძოდნენ ეპოქალური იდეების განხორციელებისათვის და ტრადიციის მონაცვლეობა გაგრძელდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მართალია, შინაომებმა ბევრი რამ შეცვალა ადამიანთა ურთიერთობაში, მაგრამ ბნ-მა ვანომ დროს გაუძლო, დარჩა დიდ კაცად, რომანტიული თაობის ლიდერად, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდა დემოკრატიის ეკლიან გზაზე. ფოთელებისთვის დაუვიწყარია მასთან ერთად ქალაქის მშენებლობისათვის გატარებული წლები,გაჯერებული სიყვარულითა და ლამაზი ურთიერთობებით, ამიტომაც გვიჭირს მასთან დამშვიდობება მას ხომ კიდევ ცხოვრების დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. ,,რა იცი კაცი სად წაიქცევი,თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი,,ჩვენ ისდა დაგვრჩენია ზეციური გზა დავულოცოთ, ღვთისა და კაცის წინაშე ვალმოხდილს.

სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ღირსეული შთამომავლობა გააგრძელებს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩვენს ხსოვნაში დარჩება კაცი,რომელიც დააკლდა ქალაქს. ფოთელები დიდი გულისტკივილით მიაცილებენ მარადიულ სასუფეველში ღირსეულ შვილს-,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა...."

ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გამოსათხოვარი

გერონტი კუხალეიშვილი

20 წელი - საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად, მზრუნველად და მოამაგედ!

სიცოცხლე, რომელიც ფოთს მიეძღვნა

კაცი-წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობის სიმბოლო!



გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გერონტი კუხალეიშვილი.

ბატონ გერონტი კუხალეიშვილს სიცოცხლე მთლიანად ფოთს მიეძღვნა, მისი ცხოვრების გზა ფოთის სიყვარულზე გადიოდა და დაუდგა კიდეც ძეგლი მას მხურვალე შრომით, ნიჭით, მონდომებით, - როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, ეროვნულმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება. 50 წელი გაატარა მშობლიურ ქალაქის აღმშენებლობაში, მათ შორის 20 წელი-ქალაქის თავად! არ არის იოლი უხელმძღვანელო იმ ქალაქს, რომლის ისტორიული მემკვიდრეობა მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან დგას

სოციალურ - ეკონომიკურ აღმშენებლობას უერთებდა სულიერებას, ღვთიურობას, რწმენას-როგორც სიცოცხლის არსს. მას, როგორც მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელს, მნიშვნელოვანი წილი მიუძღვოდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენაში.

გერონტი კუხალეიშვილი დაიბადა ქალაქ ფოთში. 1951 წელს დაამთავრა ფოთის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრო-მელიორაციულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ - ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

1956-1959 წლებში მუშაობდა ტრესტ „კოლხიდმშენის" ხობის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრად, მოგვიანებით დაწინაურდა ერთ-ერთი უბნის უფროსად.

1959 წლიდან კომკავშირულ-პარტიულ სამუშაოზეა, იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის, შემდგომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

1971-1991 წლებში ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, იმავდროულად 1990-1991 წლებში აირჩიეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატის ფოთის ბიუროს უფროსად, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ბიუროს უფროსად, საქართველოს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მთავარ მრჩევლად.

2009 წლიდან არჩეულია „ფაზისის "საერო - სამეცნიერო აკადემიის ვიცე- პრეზიდენტად, ხოლო 2010 წლიდან თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარედ.

ბატონ გერონტის უკავშირდება ქალაქის დიდი ისტორიის პატივგებისა და სახალხო დღესასწაულის - „ფაზისობის" დაწესება, რომელიც 1975 წლიდან აღინიშნება და სანიმუშოა მრავალი პარამეტრით, როგორც წარსულის და თანამედროვეობის თანაარსებობის მაგალითი - გამაერთიანებელი მშობლიური ქალაქის აღმშენებლობისთვის.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები: მედლები „შრომითი წარჩინებისათვის", „მამაცური შრომისათვის", „საპატიო ნიშნის", „შრომის წითელი დროშის", „ღირსების" ორდენებით, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, სახალხო მეურნეობის გამოფენის ოქროს მედლით.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 ივლისის განკარგულებით გერონტი კუხალეიშვილი დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

არჩეული იყო ფოთისა და დაძმობილებული ქალაქების - ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის ქალაქ ლაგრანჟესა და საბერძნეთის ქალაქ ნავპლიონის საპატიო მოქალაქედ.

გერონტი კუხალეიშვილმა ღირსეული კვალი დატოვა საპორტო ქალაქის საზოგადოებრივი-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში-ეს იყო აღმშენებლობის პერიოდი, იგი დიდი ნიკო ნიკოლაძის საქმის გამგრძელებელი გახლდათ და ყველაფერს აკეთებდა, რათა ფოთს - როგორც ევრაზიის ფორ-ფოსტს ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა მსოფლიო რუკაზე.

სიცოცხლის ბოლო დღემდე აწვალებდა მშობლიური ქალაქი და მისი მომავალი. ჩვეული შემართებით ხელმძღვანელობდა საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი სათათბიროს საქმიანობას, ფოთის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა-იყო მარადიულ ჭიდილში ქალაქის მარადიულ პრობლემებთან და იმ ქვეყნადაც ეს დარდი მიყვება.

იშვიათად იბადებიან ადამიანები ასეთი სახელმწიფოებრივი ხედვითა და პასუხისმგებლობით. ბატონი გერონტი, მიუხედავად პოლიტიკური სისტემების ცვლილებებით გამოწვეული სირთულეებისა, არასდროს ჩამოსცილებია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ისევ შემართებით, მდიდარი გამოცდილებითა და ერუდიციით იღწვოდა ახალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო მშენებლობისათვის.

ბატონი გერონტი ფოთელებისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის იყო გზის გამკვალავი, დამრიგებელი და მეგობარი, ძალიან უნდოდა მათ ეცხოვრათ ევროპული ტიპის საპორტო ქალაქში.

გაჩერდა გუსილცემა იმ კაცისა, რომელმაც მთელი ცხოვრება ფოთის მომავალს მიუძღვნა და ყურს უგდებდა მის მაჯისცემას. ყოველივე დიდებულად ასახა ავტობიოგრაფიულ წიგნში „მომავლის წარსული", რომელიც დიდი საჩუქარია ახალი თაობისათვის.

იცხოვრა დროის სამივე განზომილებაში და სამივეს წარუშლელი ძეგლი დაუდგა, რასაც მშობლიური ქალაქის-ისტორიული ფაზისის, საქართველოს საზღვაო კარიბჭის სიყვარული ქვია, რაც მუდამ იქნება ორიენტირი მომავალი თაობებისათვის.

სიყვარული სიყვარულის წილ - დიდი ღვაწლისათვის, უანგარო სამსახურისთვის, ბატონო გერონტი, ქუდს გიხდის ფაზისქალაქი და უკანასკნელ გზაზე სინანულით მიგაცილებს.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ფაზისის მიწა, რომელიც ასე გიყვარდათ და ემსახურეთ როგორც შეგეძლოთ, მთელი ძალითა და მონდომებით.

ღმერთს ებარებოდეს თქვენი დიდებული სული.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მეუღლე გულიკო ქორიძე, შვილები გიგა და ლელა კუხალეიშვილები, შვილიშვილები ლუკა, ლიზი კუხალეიშვილები, მარიამ მილორავა; და ნელი კუხალეიშვილი, ძმა მარლენ კუხალეიშვილი, რძალი მარიკა კვირაია, სიძე ალექსანდრე მილორავა, ძმიშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი

დაკრძალვა შაბათს, 2 მარტს კუნძულის უბნის სასაფლაოზე.
გამოსვენება 15:00 სთ, ფოთი, ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან
(დავით აღმაშენებლის №49)

ქალაქ ფოთის საკრებულოს საზოგადოებრივი სათათბირო იუწყება, რომ გარდაიცვალა სათათბიროს თავმჯდომარე
გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ენძელა, დარეჯანი, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, სიძეებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფოთის დიდი ამაგდარი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე
გერონტი კუხალეიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ირმა და გია დარჯანიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის საპატიო მოქალაქე
გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინგა და ზურაბ აბრალავები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის საპატიო მოქალაქე
გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

გერონტი კუხალეიშვილი-ფოთი იყო მისი ოცნების ქალაქი

ძველი კოლხეთის დიდი და საოცარი ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციის უბრწყინვალესი ფურცლებია. ამ დიდი წარსულის განუყრელი ნაწილია ფოთი. სწორედ ამიტომ ამ ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოში სამუშაოდ მოვლინება ჩემთვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და ერთგვარ შიშთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩამოსვლის პირველივე წუთებიდან ვიგრძენი, რომ მარტო არ ვიყავი, რომ გვერდით მედგნენ განათლებული, მოაზროვნე და ქვეყნის გულშემატკივარი ღვაწლმოსილი ადამიანები : ერთმანეთს სიყვარულით " ბიჭებად" რომ მოიხსენიებდნენ. როგორი რწმენა და ძალა შემმატა მათმა სიტყვებმა-

"ბაბუ, აბა, შენ იცი, ჩვენ ,ფოთელები, შენს გვერდით ვართ და გვჯერა, ყველაფერი გამოგივაო".

ბატონი გერონტი კუხალეიშვილი მათ შორისაც გამორჩეული იყო. 85 წელს მიტანებულს საოცარი სიახლის გრძნობა, თავისი ქალაქის უზომო სიყვარული და ადამიანებთან ურთიერთობის განსაცვიფრებელი ნიჭი გააჩნდა. ის არ გსაყვედურობდა, არც შენიშვნას გაძლევდა, უბრალოდ, დაგანახებდა უკეთეს გზას არსებული პრობლემის გადასაჭრელად, თუ სამომავლო მოქმედებისათვის.

ზოგიერთი ადამიანი სამსახურებრივი კარიერის დასრულებასთან ერთად ამთავრებს საამსოფლო საკითხებზე ფიქრსა და ზრუნვას, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ისინიც, ვისთვისაც წარსული, აწმყო და მომავალი თავისი ქვეყნისა, ერთიანი, უწყვეტი ჯაჭვია და საქვეყნო საზრუნავს და ფიქრს უკეთეს მომავალზე არასდროს ეხსნებიან. ასეთი იყო ბატონი გერონტიც. მისთვის თავისი ქალაქის სიყვარული და მასზე ზრუნვა სამსახურებრივი მოვალეობა კი არა ,შინაგანი ზნეობრივი ვალდებულება იყო და ბოლომდე პირნათლად იდგა ქვეყნისა და ერის სამსახურში.

ძველი ქართული ტრადიცია გახლდათ "სახელის მილოცვა"ღირსეულად აღსრულებული ადამიანის ახლობლებისთვის. ბატონი გერონტის, მისი ახლობლების წინაშე ამ დიდ ვალს დღეს მთელი ფოთი იხდის.

სახელი მოგვილოცია, მარადისობის რჩეულო მგზავრო, პირნათელი მიუხვალ ზეციური საქართველოს დიდ ბინადართ, წინ საკუთარ საქმეთა მადლი და მამულისთვის მფეთქავი გული

წაგიძღვებათ, არა ერთი ადამიანის და მათ შორის ჩემი დიდი სიყვარული, პატივისცემა და გულწრფელი ცრემლი გამოგყვებათ სანთლად.

გიორგი ფარემუზოვი
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

ღირსეულად ავღნიშნოთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების -ეროვნული გმირების 80 წლისთავი

ერთი საუკუნის ორი დიდი ტრაგედია-წინამური - ხიბულა ...

სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარის გუბერნატორი აღექსანდრე მოწერელია ფოთში საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას თანამოაზრეებს და მომხრეებს შეხვდა

საქართველოს მე-20 საუკუნის 90-იანი წლები 9 აპრილიდან მოყოლებული ხიბულამდე ახალ წიწამურამდე, სადაც სამშობლოს სიყვარულისთვის სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია**-მარად დარჩება ეროვნული სულისკვეთების უკვდავების დიდ ნიშანსვეტად. არასდროს ასე არ გაერთიანებულა საქართველო, როგორც ამ ორი დიდი ბუმბერაზი მამულიშვილს - ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ირგვლივ, ეს იყო ეროვნული ცნობიერების მარადიული ფენომენის ამოხეთქვა, რომელიც, სამწუხაროდ მტრულ გარე და შიდა ძალებს შეეჯახა და დღესაც ვიმკით ღალატის და გაუტანლობის სავალალო შედეგებს და ვიდრე სახელმწიფოებრივად არ შეფასდება 1991-1993 წლების მოვლენები, იგი პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანს. ეროვნული ტალღა, ეროვნული სული, თავისუფლების იდეა გამოარჩევს ამ თაობას, რომელთაც ზვიადისტებს ვეძახით. ეს არის სახელმწიფოებრივი იდეურობის, ქვეყნის, ხალხის სიყვარულის ირგვლივ გაერთიანებული ადამიანები და არა ხელისუფლების მოყვარულები, მედროვეები, სკამისა და თანამდებობების მაძიებლები სწორედ, ეს აღნიშნა მოგვიანებით თავის გამოსვლაში სამეგრელო-ზემოსვანეთის მხარის გუბერნატორმა, ბატონმა **ალექსანდრე მოწერელიამ**.

ზვიადისტებთან შეხვედრა შედგა ქალაქის კულტურის სამსახურის ცენტრში (დირექტორი ნინო პაჭკორია) დარბაზი ვერ იტევდა ზვიად გამსახურდიას მომხრეებს და თანამებრძოლებს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლმა, მსახიობმა და რეჟისორმა, ბატონმა **რობერტი ნადარაიამ**, რომელმაც თქვა:

-მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

ბატონებო და ქალბატონებო!

ფრიად მოხარული ვარ, რომ გხედავთ დღეს ამ დარბაზში, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად გვიხდება შეკრება და აზრთა გაზიარება, სასიამოვნოა და ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც, რომ დღევნდელი ჩვენი შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორის, ბატონ **ალექსანდრე მოწერელიას** თაოსნობით შედგა. მსგავსი შეხვედრა უკვე ჰქონდა ბატონ ალექსანდრეს ხობში, ჩვენს თანამოაზრეებთან. რა დასამალია, რომ არცერთ ხელისუფლებას არ გავუნებივრებივართ ყურადღებითა და გულისხმერებით. პირიქით, ძალზე ხშირად განვიცდიდით დევნასა და შევიწროებას. ბევრ ჩვენთაგანს ქვეყნიდან გადახვეწაც მოუწია. თუმცა, ეს რა გასაკვირია, როცა ჩვენს პირველ პრეზიდენტსაც, საქართველოს ეროვნულ გმირს **ზვიად გამსახურდიას** დევნილობაში ამოხდა წამებული სული და ზვარაკად შეეწირა ბედკრულ საქართველოს.

- მე მინდა ბატონ ალექსანდრეს წარვუდგინო თქვენი თავი და მოკლედ მიმოვიხილოთ ის პერიპეტიები, რაც გადაგვხვდა ჩვენ და ჩვენს თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებს 1987 წლიდან, ეროვნული მოძრაობის ჩასახვისა და აღმავლობის, სახელმწიფო გადატრიალებისა და კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდების, პრეზიდენტის ვერაგული მკვლელობისა და კანონიერი ხელისუფლების მომხრეების დახვრეტებისა და წამება-მკვლელობების, სამეგრელოს არაერთგზის დაბომბვრისა და აწიოკების, ბუნტის შემზარავი დანაშაულების წლებიდან დღემდე.

-ბევრი ჩვენგანი შეეწირა ამ ბრძოლას სამართლიანობისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის, საქართველოს ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის.

-ბევრი ჩვენი თანამებრძოლი გმირულად დაეცა თბილისის, სამაჩაბლოს, აფხაზეთისთვის გაჩაღებულ ომებში.

- ბევრი კი ულმობელმა სენმა და დუხჭირმა ყოფამ გამოგვაცალა ხელიდან.

- ბატონო ალექსანდრე!

- დღეს ამ დარბაზში იმყოფებიან ეროვნული მოძრაობის ვეტერანები, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართალის საზოგადოების წევრები, პირველი მოწვევის საკრებულოს დეპუტატები, პრეფექტის მოადგილეები, ეროვნული ხელისუფლების მოსამსახურეები და მომხრეები.

-ბატონო ალექსანდრე! ეს პატივცემული ქალბატონები და ბატონები დღესაც მზად არიან თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით, კვალიფიკაციით, პროფესიული უნარჩვევებით დაუღალავად ემსახურონ ხალხსა და ქვეყანას, თუმცა, სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა დღემდე დაუსაქმებელია და კვლავ გაჭირვებით ირჩენს თავს და არჩენს ოჯახებს. ისიც უნდა ითქვას, რომ არცერთ ხელისუფლებას მოვდიოდით თვალში და ჯიუტად იგნორირებდნენ ჩვენს კანონიერ და სამართლიან მოთხოვნებზე.

გვჯერა, რომ მსგავსი ფორმატის შეხვედრები მომავალშიც შედგება და ხელს შეუწყობს ჩვენს დაახლოებას.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნიის აპარატის ხელმძღვანელი, მწერალი **ლაშა გვასალია, როსტევან გვარამია, ომარ ხუხუნი, კესო კალანდარიშვილი, ოთარ არძინბაია** და სხვები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა **ალექსანდრე მოწერელიამ** უპირველესად ხაზი გაუსვა იმას, რომ აქ, ამ დარბაზში მყოფ ადამიანებს სამშობლოს სიყვარული, თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეა აერთიანებდათ, ამიტომაც, ვიდრე სამშობლო არსებობს, ისინი მისი ერთგულნი რჩებიან, რათა ასწავლონ თაობებს თუ როგორ უნდა უყვარდეთ ქვეყანა, -,,ენა, მამული, სარწმუნოება". ყველას ვალია ღირსეულად პატივი მივაგოთ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მის თავგანწირვასხიბულა გმირობის და ტრაგიზმის ნიშანსვეტია-იგი თაობებს შეახსენებს **ზვიად გამსახურდიას** უკვდავებას და შესაბამისად უნდა მოეწყოს მემორიალი. ასევე თქვენ აყენებთ საკითხს ფოთში ეროვნული გმირების საიუბილეო ღონისძიების ჩატარების თაობაზე,სამუშაო ჯგუფთან ერთად განვიხილოთ, ეს და სხვა საკითხები, რომელიც გაწუხებთ თქვენ, აწუხებს ქალაქს, რეგიონს, ასეთი ბევრია და ერთდროულად უნდა ვიმოქმედოთ, ერთად უნდა დავდგეთ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, რაზეც აცნებობდნენ ეს დიდი მამულიშვილები.

შემდეგ მიიღეს მიმართვა ქალაქის მერიისა და საკრებულოსადმი.

მიმართვის ტექსტი

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს სრულდება დიდი ქართველი მოღვაწეების, საქართველოს ეროვნული გმირების - **ზვიად გამსახურდიას** და **მერაბ კოსტავას** დაბადებიდან 80 წლისათვი.

ყველასათვის ცნობილია ამ ორი მამულიშვილის ღვაწლი სამშობლოს წინაშე. მათი მოწამეობრივი ცხოვრება სავსეა სამშობლოს სიყვარულის, მისი კეთილდღეობის, ზრუნვისა და თავგანწირვის მაგალითებით. ორივე მათგანმა ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე ჯერჯერობით გაურკვეველ ვითარებაში, რომელიც გონივრული ვარაუდით საქართველოს შინაურ თუ გარეშე მტერს უნდა განეხორციელებინა.

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხსოვნის საპატივცემულოდ საქართველოს მრავალ ქალაქში არის აღმართული მონუმენტები, სადაც ამ მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებს საშუალება აქვთ პატივი მიაგონ სამშობლოსთვის თავშეწირული რაინდების ხსოვნას. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კი ამ შესაძლებლობას მოკლებულია.

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერებს, რომლებიც გამოვხატავთ ფოთის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა



მნიშვნელოვან რაოდენობის ნებას, მიგვაჩნია, რომ **ზვიად გამსახურდიას** და **მერაბ კოსტავას** იუბილეებთან დაკავშირებით ჩასატარებელ ღონისძიებებთან ერთად მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია ამ ორი ეროვნული გმირის სახელების უკვდავსაყოფად ქალაქის თვალსაჩინო ადგილზე აღიმართოს მათი ღვაწლისა და ღირსების შესაბამისი მონუმენტი, რომელიც იქნება ჩვენი უფროსი თაობისა და ახალგაზრდობის საყვარელი ადგილი, სადაც მოქალაქეებს ექნებათ საშუალება გამოხატონ თავიანთი მოწიწება გმირების მიმართ და გაიხსენონ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ქარტეხილები.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი მიმართვა და ახლო მომავალში დაგეგმოთ მისი განხორციელება 2019 წლის ბიუჯეტში საპროექტო სამუშაოების დაფინანსებისა და მონუმენტის აღსამართი ტერიტორიის შერჩევის თვალსაზრისით, რათა მომავალი წლის ზემოთ აღნიშნულ იუბილეებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი სათანადოდ მომზადებული შეხვდეს.

იმედია, ამ მიმართვას ქალაქის ხელისუფლება გაითვალისწინებს და მხარს დაუჭერს ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებას.

ნაჰო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

საშუალება

რისი საშუალება გაქვს
შეირგე და ისმარე,
შენი გარჯით რაც შექმენი,
დამიჯერე იკმარე,
ფთრიაქი მაშინ სდება
სხვის ნაშრომს ცანცულომ,
აქ სიმშვიდეს ნუღარ ქმენ,
მაგას ცეკვილა ნაცრულომ

დამერება

ვმეურდები და ნათლად ვხედავ
აღარ მცოფნის დისანია,
თქვენ არ ვიცი დამიჯერებთ,
სანლს რომ ვაგნებ მისარია.

მამუ

მამუს სედავთ დაცვირთულა წლებს ულვად აცარებს,
საძმაკაცოს ეფერება 80 წლის პაცარებს,
ყველა უფრთს–უმცროსობას მთრჩილებით აცარებს,
გისარია რომ უყურებ ერთმანეთის გამცანებს.

მოყვარე

მოყვარე მცრად მიგაჩნია
ვინ წყეულმა მიგაჩვია,
თუ გარჩევას ვერ ისწავლი
უნიჭობად მიმაჩნია.

მჯერა

მე მას მცვიცედ ვაყალიბებ,
რა მჯერა და რა არ მჯერა
შეიძლება არ დაემთხვეს
შენ რა გჯერა, რა არ გჯერა,
მაგრამ ამით არ შეცვალო
შენი გულის მშვიდი ბგერა.

სლავას

საამაყო წარსული გაქვს,
მოსაგონრად მეკრი რამე,
საქმისადმი სიყვარულში
გითეკია მეკრი ღამე.

სამოცდაათი

სამოცდაათი წლის მაღლებთან
რომ გაერთო ადვილია,
ყველა ცდილობს მოგინახოს
საპაციო ადგილია.

სამოცდაათი

სამოცდაათი წლის მაღლებთან
მეგობრობა მისარია
ჩემს ასაკან რომ ვადარებ
ვაღიერებ მისხალია.

„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!"

ნუგზარ ნადარაია-74

26 თებერვალს დაიბადა დიდი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნადარაია

ვუღოცავთ!
მრავალჟამიერ, ბატონო ნუგზარ!

წლები ჩემი სიმდიდრეა-თამამად შეუძლია თქვას ბნ-მა ნუგზარმა, მაგრამ ჩვენ უფრო შორს წავალთ, რამეთუ ეს წლები ქვეყნის სიმდიდრეცაა, დატვირთული სახელმწიფოებრივი ზრუნვით ახალგაზრდობიდან ჭარმაგობამდე. ორ წყობაში, ორ საუკუნეში იცხოვრა და დაამტკიცა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება.განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაუზოგავი მოღვაწეობა ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხობსა და ბათუმში.შემდეგ კი ეროვნულ - საზოგადოებრივი და - სამეცნიერო საქმიანობა ,,ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტის რანგში. ბნ-ი ნუგზარის ინიციატივით წმინდანებად შერაცხეს გიორგი ჭყონდიდელი და ცოტნე დადიანი. ფოთში მერად მოღვაწეობის დროს სამეგრელოს მოედანზე დაიდგა ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლი. კოლხეთის ისტორიის კვლევას მიეძღვნა აკადემიის ჟურნალ ,,ცოტნეიდელის 10 ტომი,, ბნ-ი ნუგზარ ნადარაია კვლავაც ჩვეული შემართებით იღწვის ქვეყნის სულიერი და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის. აქვე გთავაზობთ მის წერილს სამომავლო სურვილებსა მიზნებზე. ვულოცავთ კაცობის, სიყვარულისა და მეგობრობის დიდ მაესტროს დაბადების დღეს,დაე კვლავაც დიდხანს იყოს ასე მხნედ და ჯანმრთელად ერისა და ქვეყნის სამსახურში.

****

აი, რას ვისურვებდი!

ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი, დიპლომატიური და ახსნა-განმარტებითი დიალოგის გზით აღდგენას, ქვეყნის აღდგომასა და გაბრწყინებას, ანუ მაღალი ღმერთის მადლით ,,მზინ დამეს, ვითარცა აღსდგა წმინდა ლაზარე. ჩვენი მამულის სოციალურ-ეკონომიკური კულტურულ-სპორტულ აღმავლობას, ერის გამრავლებას; საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის წმინდა ილია მეორე აღმაშენებლის ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ყოველთა ქართველთა გასახარად და საამაყოდ; მის უწმინდესობას გვერდით დადგომოდეს ღვთის მადლითა და ნებით მესია წმინდა მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის ტოლფასი, ერის პატრონი და წინამძღოლი; წმინდა გიორი ჭყონდიდელის და წმინდა დავით აღმაშენებელის ისტორიული ტანდემის ქართული რენესანსის ეპოქის განმეორებას; წიგნთა უპირველესი წიგნის ბიბლიისა და შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის" საკაცობრიო ცივილიზაციის მშვენი, ისტორიული გმირების, მაღალი გზნებით, აფორიზმების ცხოვრებაში რეალიზაციას, ამაღლებული ზნეობის, პატრიოტიზმისა და მამულიშვილობის სულიერებით და ნიჭის უფლებით ,,ფულის უფლებაზე" გამარჯვებას; ჩემი მეგობრების ოჯახების გამრავლებას, ბედნიერებას და გამარჯვებას; ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილის ნინოს ძმის -ცოტნე ნადარაიას დაბადებას და და-ძმის ჭყონდიდელ- ცოტნეიდელებად აღზრდას, რათა იყვნენ ქრისტეს გულმხურვალედ მოყვარულები და მოშიშნი ღვთისა, განამტკიცონ მართლმადიდებლობა მათ გარშემო მყოფ დადნაფიცებსა და ძმადნაფიცებში, დაამარცხონ შადიმან-ფარსადანობა, პირნათლად აღასრულონ უფლის მცნებანი და დადონ სული თვისი მოყვასის, მამულისა და დედაეკლესიის სადიდებლად... ამინ!

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე ქაშვეთის 100 წლოვანი ტაძრის წინ, ილიას და აკაკის ერთობლივი ძეგლის ანალოგით დავდგა: მცხეთაში, ზუგდიდსა და არქეოპოლისში (სენაკი) იმერ-ამერის ერთიანობის სიმბოლოდ ქცეული ფარნავაზისა და ქუჯის ერთობლივი ძეგლები და მონაცვლეობით ყოველი წლის 14 აპრილს-დედაენის სახალხო დღესასწაულის დღეს, მორიგეობით დასახლებულ გეოგრაფიულ ცენტრებში ჩამატარებინა სახალხო დღესასწაულები- ,,ფარნავაზი და ქუჯი -ქვეყნის ორი დასაყრდენი და გამაერთიანებელი ბურჯი"... ამინ! ასევე, ლევან დადიანის ძეგლი წალენჯიხაში, სადაც დაკრძალულია დიდი მთავარი; მარტვილში კი საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული წმინდა კათოლიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას სახლ-მუზეუმი ამაგებინა და კეთილმომაწყობინა მისი კარმიდამო; მესიის-მეფედ მეფის წმინდა დავით აღმაშენებლისა და მისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის (გ. ბედია) ერთობლივი ძეგლი დამადგმევინა მარტვილში, იმ მთაზე, რომელზედაც დაბრძანებულია ჭყონდიდის ეპარქიის ისტორიული საკატედრო ტაძარი, შესაბამისი მასშტაბის ქრისტეს ჯვრის გამოსახულებით, რომელიც თავისუფლად აღიქმება ბარიდან, რამეთუ, გადმოჰყურებენ რა სრულიად კოლხეთს; დამამთავრებინა კონსტანტინე გამსახურდიას კაპიტალური სახლ-მუზეუმის დაწყებული და წლების განმავლობასი დაკონსერვებული მშენებლობა, კეთილ მომაწყობინა მისი კარმიდამო აბაშაში;ხობში დამადგმევინა ,,მოკავშირე" ბერძენთა მიერ მუხანათურად, მოწამლული ისრით განგმირული და კოლხეთისთვის თავშეწირული ლაზი გუბაზ მეფის ძეგლი; ჩამატარებინა ზემოთდასახელებული მამულიშვილების ღვაწლის პატივგების ნიშნად სახალხო დღესასწაულები, დამარქმევინა ქალაქ ფოთისთვის ისტორიული სახელი ფაზისი.

თუ ეს სურვილები, ვინმეს ერთი კაცისთვის გადაჭარბებულად, არარეალურად და მიუღწევლად მოეჩვენება, ვისურვებდი, რომ ჩემს შთამომავლობას განეხორციელებინოს ყოველი და სამოქმედო ანდერძად დაეტოვებინოს თავისი ნაშიერისათვის.

დაე, ქვეყანას და ქართველ ხალხს აღაფრთოვანებდეს, რაზმავდეს და სამოქმედოდ განაწყობდეს მაღალი ზნეობა, უფლის სიყვარული და დამსახურებული მადლი გადმოსული მართლმადიდებელ ქართველ ქრისტიანებზე... ამინ!

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით,
მუდამ თქვენზე მლოცველი
ნუგზარ ნადარაია ოჯახით

სიახლე წიგნის სამყაროში

გამოვიდა აღექსანდრე (აღეკო) დოლბაიას ღექსთა კრებული რომანტიკული სახელწოდებით ,,ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი"

ალექსანდრე (ალეკო) დოლბაია რომ უნიჭიერესი კაცია კარგადაა ცნობილი საქართველოს პოეზიის მოყვარულთათვის, მაგრამ ამას წინათ გამოცემულმა მისმა ლექსთა კრებულმა ,,ერთი წყაროდან შეგვისვამს წყალი" გაოცება და ფურორი მოახდინა მკითხველზე.

მისი ლკექსთა კრებული ნათელი მაგალითია, იმისა, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო პოეტის სახელს, რუსთაველის და გალაქტიონის ქვეყანაში. არ არის ადვილი გერქვას პოეტი, მაგრამ ალეკო დოლბაიამ ამ კრებულის გამოცემით დაამტკიცა, რომ იგი იმსახურებს პოეტის სახელს. დღეს ლექსს ბევრი წერს და წიგნებიც უამრავი იბეჭდება. ამ სამწერლოსაგამომცემლო ქაოსსა და განუკითხაობაში სამწუხაროდ, თითქოს გაუფასურდა კიდეც პოეტური სიტყვა და პოეტის სახელი, მაგრამ ალეკომ ამ კრებულით დაამტკიცა, რომ იგი პოეზიის პარნასზე თავს თავისუფლად გრძნობს.

ალეკო დოლბაიას ლექსთა კრებული ეძღვნება როგორც თავად წერს თავის ლამაზ ოჯახს ,,ვუძღვნი ჩემს ძვირფას ოჯახს, მეუღლეს-ხათუნა ამაღლობელს, შვილებს თათულის და გვანცას.

ალეკო დოლბაიას შესწევს უნარი კალმის ერთი მოსმით წინ გადაგიშალოს საქართველოს ბუნება და რაც მთავარია ადამიანის სულიერი სამყარო. სწორედ, ამისთვის როგორც ვაჟა იტყოდა ,,სამშობლოს სიყვარულისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა".

ალეკო დოლბაია აღფრთოვანებით წერს:

,,ჯხედავ აისით ზღვა რომ
მშვენდება,
მარცვლოში მოვრი ბურავს
ზედაშეს...
ვარ გაზაფხულის შემოქმედება,–
ჩემი სამშობლოს გრძნობის
წინაშე".

და განაგრძობს:

,,მყინვარს შეჯერცხლილს,
შუქქმით დიადს,
ხელის ჯანჯალით ვუწერ
მარათელს.

ეს რა ცეცხლი წაგვიკიდე, როგორ აღგვანთე და დაგვწვი, ბატონო ალეკო. ქართველმა კაცმა ხომ ყველაზე უკეთ იცის ლექსის ფასი. ლექსთა კრებულში მთელი სამყაროა თავმოყრილი, დიდი სიყვარული აქვს ჩაქსოვილი, ეროვნული გმირების ზვიადისა და მერაბის მიმართ:

,,და ამის შემდეგ მოცად
დრო გავა,–
სისხლით, წვალებით, მოღალატის
ჯვალი ნაბრახი...
ვაიმე, მიჭოო, დაიბახა–
მეორამ ჯოსტავამ
და ზვიადის ცხენს შემოარტყა
თოორმე მათრახი..

სიყვარულით მოქარგულ სიტყვებს უძღვნის იგი მშობლიურ ქალაქს:

,,აქ გაზაფხული ადრე მწიფდება,–
სოზანის ფერში ცურავს ქალაქი:
პალიასტომი–მითთა დიდება,
ზღვა –განფენილი სხივთა
მარაქით.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეუღლისა და შვილებისადმიმ მიძღვნილი ლექსები.

,,ერთი წყაროდან შეგვისვამს
წყალი,
თუმც წყაროებში ვერ გაგარჩევ,
შენ ერთვი ანაგვს შენი სილაღით,–
მე ვერთვი ანაგვს ჩემი მითქმით,–
და თუკი ერთხელ გავირითმქმით,
შერჩება სივრცეს ჩემი სიმღერა"...

ხოლო შვილს გვანცას ასე მიმართავს:

,,ოცა ფიქრებში მთქმი გაიცო,
არწივთა გუნდის ვიცავ ამარა...
შენ დაიმადე და თათულ დაიკოდ,–
ახლა ჰოლივუდს შეჰკარ ამარა...

ძალზე საინტერესოა ალეკო დოლბაიას მიერ გადმოქართულებული მურთაზ ჩახავას ლექსები. მან ხომ პოლიგრაფიულად უმაღლეს დონეზე გამოსცა იგი, რაც დღეს იშვიათობას წარმოადგენს.

მოვიყვან ერთ-ერთს:

,,ღორღნთი დო მარდიანი

ახავი ჩქიმი შენი,
გურ ჯამენსუ დარდიანი...
სი მიხსი დო სი მიშვილი,
ღორღნთი დო მარდიანი"...

***

აწმყო რწმენით გამიმთელე
გული დარდომს დარდიანი...
დამიფარე და მიშველე,
ღმერთი ხარ მადლიანი.

მოკლედ ვერ გადმოსცემ იმ აღფრთოვანებას, რაც იწვევს ალეკო დოლბაიას ეს პატარა გულით სატარებელი ლექსთა კრებული.

გვჯერა ალეკო მომავალშიც ბევრჯერ გაგვახარებს ახალ ლექსთა კრებულით.

ვუსურვებთ მას დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

ი. სპერი

ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია მეთევზეებს შეხვედა

თევზაობაზე დაწესებულ რეგულაციებთან დაკავშირებით უკმაყოფილო მეთევზეებს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობაში , ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია, საკრებულოს წევრები, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად შეხვდნენ. ფოთელი მეთევზეები პალიასტომსა და მდინარეებზე თევზაობის შეზღუდვებს აპროტესტებენ. ქალაქის მესვეურები მათ, კანონის ფარგლებში, ყველა პრობლემატური საკითხის მოწესრიგებაზე შუამდგომლობას დაჰპირდნენ. „ფოთში ნადირობით და თევზაობით ძალიან ბევრი ადამიანი არის დაკავებული. აღნიშნული სფეროს განვითარება ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეთევზეებს ჩვენთან ერთად კოლხეთის ეროვნული პარკის ახალი ხელმძღვანელობა შეხვდა, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე ერთობლივი მუშაობის სურვილი გამოთქვა. დარწმუნებული ვარ ეტაპობრივად შევძლებთ პრობლემების გადაწყვეტას“, - განაცხადა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ.

ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა

ფოთში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა, რომელიც დასავლეთ ტრიბუნის, შიდა და გარე კომუნიკაციების, გასახდელების, საშხაპეების, სათავსოების მშენებლობასა და ტრიბუნის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობას ითვალისწინებდა. სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებს ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, პირველ მოადგილესთან კონსტანტინე თოფურიასთან ერთად გაეცნო. საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “ელიტა ბურჯი“ ახორციელებს .

,,ფაზისის”საერო-სამეცნიერო აკადემიის სხდომა არქივის ახალ შენობაში

გვიხმობენ ისტორიის ფოლიანტები

სურათზე: განათლების სისტემის კორიფეები

არქივის ახალ შენობაში გაიმართა ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის მორიგი სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ,,ფაზისის” აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა დოდო ხუხიამ, რომელმაც ქალაქის ცენტრში არქივის ახალიშენობის გადაცემა მიულოცა დამსწრეთ.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ფოთის ადგილობრივი არქივის დირექტორი, ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი ქეთევან ეფრემიძე.

მოხსენებაზე აზრი გამოთქვეს ბატონებმა ნაპო თოდუამ, გია დარჯანიამ, რამაზ ქორქიამ, ზურაბ აბრალავამ, თამაზ პაჭკორიამ, პაატა გეგენავამ, ალექსანდრე გვასალიამ, გოგი გუდავაძემ, ბეჟან ჯალადანიამ, გიგლა გვიჩიამ, ჯონი გურგენაძემ.

ქეთევან ეფრემიძე შეეხო არქივის ფუნქციებსა და დანიშნულებებს არქივი თანამედროვე კაცობრიობის, კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვეყანაში მას, როგორც წინაპართა ცოდნაგამოცდილების საუნჯეს, როგორც ერის დოკუმენტურ მეხსიერებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

,,არქივი” ლათინური სიტყვაა, იგი პირველად გვხვდება ჩვენს წ.აღ.-მდე II საუკუნეში და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახება სახელმწიფო აქტები. რქივების წარმოშობა წერილობით დოკუმენტაციის გაჩენა და მათი შენახვა დაცვის აუცილებლობამ განაპირობა.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2010 წელს ეროვნულ არქივში დაიწყო ცენტრალიზაციის პროცესი და ეს ჯერ არ დასრულებულა. ამ პროექტის მიზანი იყო არქივების გამსხვილება, გაუქმდა ადგილობრივი არქივები და შეიქმნა რეგიონული არქივები. ცენტრალიზაციის პროცესი შეეხო ფოთის არქივსაც, უნდა გაუქმებულიყო ფოთის არქივი და გადასულიყო ზუგდიდში, სამეგრელოს რეგიონულ არქივში. ჩემი პროტესტი თათბირის დამთავრების თანავე ვაცნობე საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს ქ-ნ თეონა იაშვილს. დამპირდა, რომ ამ საკითხს განიხილავდა სქართველოს იუსტიციის მინისტრთან ქ-ნ თეა წულუკიანთან. ჩემი მცდელობა დამთავრდა სასიკეთოდ, ფოთს შეუნარჩუნდა ადგილობრივი არქივი, რათქმა უნდა მისი სტატუსის გათვალისწინებით, ანუ სიამაყით მინდა ავღნიშნო, რომ 61 ტერიტორიული ორგანოდან ადგილობრივი არქივი დარჩა მხოლოდ ფოთში და მესტიაში. მოგვიანებით დღის წესრიგში დადგა არქივისთვის შესაფერისი შენობის შერჩევა და არც ეს პროცესი იყო იოლი, მაგრამ ყველაფერი გადაწყდა ისე როგორც გადაწყდა და ფოთის ადგილობრივმა არქივმა 2018 წლის მაისის თვეში მიიღო ახალი ბინა.

ახალი პირობითად ნათქვამია იმდენად, რამდენადაც ეს შენობა უკვე მე-19 საუკუნის ბოლოდან ამშვენებს ჩვენი ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და ძალიან ახლობელია ყველა ფოთელისათვის. ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ ეს უძველესი შენობა ისე მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რომ ყველა პირობაა შექმნილი საიმედოდ იქნეს დაცული 61 ათასზე მეტი საქმე, რომელიც ასახავს ჩვენი ქალაქის ისტორიას, 1921 -დან 2012 წლის ჩათვლით მართველობით, კულტურულ რელიგიურ, პირადი შემადგენლობის დოკუმენტებთან ერთად ფოთის არქივში ინახება პირადი წარმოშობის დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ჩვენს ქალაქში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას. მათ შორის არიან ნინო კვარაცხელია, ილია კორძახია, ეკატერინე ღოღობერიძე, ნიკოლოზ ტერნიკოგოსოვი, ბესარიონ გოგია, გრიგოლ მეუნარგია, იასონ უჩანეიშვილი, ვლადიმერ გუჯაბიძე, ნინო დიდია, გრიგოლ დარჯანია, პიმენ ნაცვლიშვილი, ანასტასია ხომერიკი და სხვათა ფონდები.

მე მინდა დღეს გავიხსენო და თვალი გადავავლო, დიდი პიროვნების, პედაგოგის, ჟურნალისტის, საზოგადო მოღვაწის პიმენ ნაცვლიშვილის მიერ განვლილ ნაყოფიერი მოღვაწეობის ტკივილიან გზას. დიახ, ბევრი რამ არის მასზე სათქმელი, მაგრამ ყველაფერს ვერ იტევს მცირე დრო, მასზე თქმა კი არავის მოსწყინდება.

1912 წელს დაბადებულა სოფ. ბაშში, ქუთაისის მაზრაში, სოფლის მასწავლებლის ოჯახში. გრიგოლ ნაცვლიშვილი აბაშის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად ითვლებოდა, დედა ფატი პატრიკეთელი შეძლებული გლეხის, გრიგოლ ჯიქიძის ქალიშვილი იყო. უფროს ვაჟს ოჯახში მოჰყვა ვაჟთა და ქალთა წყვილები. პედაგოგ მამას შვილებისთვის არ დაუკლია მშობლიური და პედაგოგიური საზრდო და ყველა კეთილ გზაზე დააყენა. მაგრამ პროფესიული საგზური, თავისივე უფროს ვაჟს, უკვე ჩვენთვის აღიარებულ პედაგოგს პიმენს ჩაუბარა. 1930 წელს ქუთაისის ათწლეულის დამთავრების შემდეგ პ.ნ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ეწყობა და გატაცებით იღწვის ცოდნის შესაძენად. სტუდენტობის დროს შესრულებული დღიურის ამონაწერებში ,,ჩემი ხასიათის შესახებ” ვკითხულობთ-,,მე ერთგვარი თავისებური ხასიათის ვარ, გულფიცხი, ხელგაშლილი, მართალი, ამაყი და ზოგჯერ უზომოდ თავმდაბალი. ცხოვრებაც თითქოს თავისებურად მოქმედებს ჩემზე. დავისახავ მიზანს, კიდევაც ვაღწევ, მაგრამ არა პირველ რიგში, არამედ დაგვიანებით, სამაგიეროდ მაღალ ხარისხში.

1933 წელს პიმენ ნაცვლიშვილი გაგზავნეს სამუშაოდ ფოთში. წმინდა კოლხური ქალაქი, შავი ზღვის აქოჩრილი ტალღები, პალიასტომის ტბის მიმზიდველი სახე-ასეთი დახვდა მას ფოთი.

1934 წელს დაოჯახდა. იქორწინა ნატალია (ბუტა) ექვთიმეს ასულ კიღურაძეზე, რომელიც ბავშვთა ბაღის გამგე-მასწავლებელი იყო. ჯარში ერთწლიანი სამსახურის შემდგომ ქუთაისში უნდა გადასულიყო ოჯახით საცხოვრებლად, მაგრამ საქმე სხვაგვარად განვითარდა. იმ ხანად სასკოლო ინსპექტორად დანიშნული იყო მისი სტუდენტობის მეგობარი, ფოთის მკვიდრი დავით გიგინეიშვილი და ამ პიროვნების რეკომენდაციით პიმენ ნაცვლიშვილი დაინიშნა მეორე სკოლაში მასწავლებლად.

სტუდენტობის დროს მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო, რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულ არტისტთა მიერ გამართულ წარმოდგენაში. რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მწერალი და დრამატურგი, რეჟისორი შალვა დადიანი. ეს იყო 1935 წელი. თანაკურსელის ჩარევით, ჩემი არტისტული მონაცემების შემოწმების თვალსაზრისით დავიწყე სიარული ბატონ შალვასთან. რამდენიმე სასცენო როლის შესრულების შემდეგ დავასრულე ,,სასცენო მოღვაწეობა”.

საკუთარ თავზე სისტემატიურმა და გულისხმიერმა მუშაობამ, ფიქრმა იმის შესახებ, რომ წინასწარი წარმოდგენა ჩემზე გადაჭარბებულად ქონოდათ, წარმატების გზა მალე გამიკაფა. ახალ ჩამოსული მასწავლებელი-მკაცრი, მძიმე, მაგრამ საყვარელი არ ამბობდა ჩემზე. მიუხედავად ახალგაზრდობისა ჩემსა და მოსწავლეებს შორის რაიმე გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. ხალხი ხელმძღვანელობის თვალში რომ ვიზრდებოდი. ამის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩემი მოღვაწეობიდან ექვსი თვის თავზე განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ გადამიყვანეს.

წელი წელს მისდევდა, ბედნიერების პიკზე ვიმყოფებოდი მოსიყვარულე ოჯახი, სამსახური, აღიარება.

მაგრამ დადგა უბედური 1952 წლის 27აგვისტო. ოთხშაბათი, ზღვაში ბანაობისას მისი თანაკლასელი და მეგობარ ირა მოწერელიასთან ერთად დამეხრჩო უფროსი შვილი მე-11 კლასის მოსწავლე, 17 წლის ქალიშვილი, ჩემი პირველი მშობლიური სიყვარულის ნუგეში და იმედი ინდიანა-ჩემი გულის მაცოცხლებელი ერთ-ერთი დიდი ძარღვი გაწყდა...

სიცოცხლე გაგრძელდა. გაგრძელდა იგი ორ ვაჟიშვილზე ზრუნვით. ომარი და ბადრი. ომარი საკრებულოს თევზის მრეწველობის სამართველოს სისტემაში მუშაობს. ბადრი მე-2 საშუალო სკოლის X კლასში. ასეთია ჩემი მოგონებები. თუ შეიძლება მოგონებები ეწოდოს...

1962 წლის 19 მარტი დამთავრდა მოგონებები,თუმცა ცხოვრება არ დამთავრებულა. სიცოცხლე გაგრძელდა, იგივე მონდომებით, წარმატება, ახალგაზრდობასთან, კოლეგებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებებით,თუმცა ტკივილით რომელიც სისხლის ბოლომდე არ განელება.

სწორედ, მისმა საქმიანობამ გადაატანინა ეს დარდი, იშვიათია პედაგოგი, რომელსაც ასეთი სითბოთი, სიყვარულით, მონატრებით იხსენებენ ყოფილი მოსწავლეები. არქივში ინახება წერილები-ლეილა აბუევას, ტული გვასალიას, მურთაზ ჩახავას, თამარ ანდღულაძეს, რითაც ისინი

ფოტოგრაფი - ია როგავა

ეფერებიან, ემადლიერებიან, ლოცავენ უსაყვარლეს პედაგოგს.

შუა ასაკს მიღწეულს ყველაზე დიდი მეგობარი, მეუღლე გამოეცალა, ისევ დარდი და წუხილი, არ გატყდა დიდი პედაგოგი.

ყოველივე ზემოთ თქმული ოდნავდაც არ ასახავს ბატონი პიმენის პიროვნული და მოქალაქეობრივ ყველა ღირსებას. იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო მასწავლებელი და არა მარტო მოზარდთა, არამედ მასწავლებელთა მასწავლებელი, რომელიც ბერმუხასავით იდგა ქალაქის პედაგოგიური ცხოვრების შუაგულში. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, დამუხტული იყო მგზნებარებითა და ჭეშმარიტი სიბრძნით. გასაოცარი იყო მისი შეხვედრა ნებისმიერი ასაკის ადამიანთან. ეს ახოვანი, სუფთა სისხლის ქართველი ვაჟკაცი მისალმებისას ბავშვსაც კი ისე მოუდრეკდა ქედს, რომ მისი ამგვარი ყურადღებით გარემოსილს, პიროვნული სიამაყე ეუფლებოდა.

თავის პროფესიაზე საოცრად შეყვარებული, გულისხმიერი, უანგარო მოღვაწე-ასე იცნობდნენ ფოთელები ბატონ პიმენს. ამაყად დააბიჯებდა კოლხურ ქუჩებში ჭარმაგი პედაგოგი, ნათელი შუბლით, ღრმა ერუდიციით, პედაგოგი, რომელიც სხვათა ცხოვრების საფუძვლად ქცეულა მისი ღვაწლით.

ჩვეული სიდინჯით აწყობილი ნაბიჯების რითმი შენელდა და 1995 წელს იანვარში შეწყდა.

დიდი პიმენის, ბუტას, ინდიანას სიცოცხლე შვილიშვილებში გაგრძელდა.

ღირსეულ წინაპართა წყალი გადასხმოდეთ.

მოვაცილოთ ისტორიას ბურუსის საბურველი

ლაზეთ სამეგრელოს ერთიანობის უკანასკნელი ბასტიონის დამცველები მამა შვილი ჯანიკლი და ბათალი (ანუ კარგად დავიწყებული ისტორია)

მე მოგიყვებით იმ ტრაგიკული ისტორიის შესახებ, რომელმაც ძირეულად შეცვალა ,,ლაზეთ-სამეგრელოს" მომავალი ისტორიის ბედი. წერტილი დაუსვა კოლხეთის, ჯერ კიდევ არსებულ უკანასკნელ ბასტიონს ,,ლაზეთ-სამეგრელოს" ერთიანობას. რის შესახებ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ მცირედი ნაწილის გარდა, დღემდე არაფერი იცის და არც არავინ დაინტერესებულა (დღემდე), ამ საშინელი ისტორიის წარმოჩინებით. და თუ რატომ?! ყოველივე ამის შემდეგ პატივცემული მკითხველი აღნიშნულ წერილში თავად შეიტყობს და ქართველი მემატიანეების მიერ მიჩქმალულ, ნაცარმიყრილ და კარგად დავიწყებულ ,,ლაზ - მეგრელების" ტრაგიკული ისტორიის შესახებ (იმედს ვიტოვებ) სამართლიან დასკვნასაც გააკეთებს.

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად...

ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით: ,,ლაზ მეგრელებს ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში ერთიანობა ქონდათ შენარჩუნებული, მაგრამ ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი შეიჭრა ლაზეთ სამეგრელოს შუაგულში, რასაც შემდეგ მოყვა ლაზებისა და მეგრელების დაცილება. საინტერესოა პატივცემული მეცნიერი რატომ არ ამბობს, იმ მიზეზის შესახებ თუ რატომ შეიჭრა ის ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი, ლაზეთ-სამეგრელოს შუაგულში. ასევე, (დღემდე) რატომ დუმან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მეცნიერების მთელი კოჰორტა. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთი მოდგმისანი, როგორც გვმოძღვრავენ და ჩვენს შორის, (ანუ ძმებს შორის) როგორც გასაყოფი, ასევე დამალულიც არაფერი უნდა იყოს, მაშ რაშია საქმე? რა ჩაიდინა ისეთი მიუღებელი იმ ერთერთმა ქართველმა ტომთაგანმა თავისი ძმის მიმართ, რასაც ასე საგულდაგულოდ მალავს ივ. ჯავახიშვილი და სხვანი...

ამ მიზეზით გადავწყვიტე ბოლომდე ჩავწვდომოდი ლაზეთ-სამეგრელოს ბურუსით მოცულ ტრაგიკულ ისტორიას და, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით წარმომეჩინა, დღემდე, (შეგნებულად) მიჩქმალული და ნაცარმიყრილი ლაზეთ-სამეგრელოს უკანასკნელი ბასტრიონის განადგურების მთავარი მიზეზების გარემოებები.

აი, რას გვაუწყებს ამის შესახებ ,,ქართლის ცხოვრება": ,,ადერკის, (ქართლის მეფე) მეფობისა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმინდათა მოციქულთაგანი, ანდრია და სვიმონ კანანელი, აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა სიმონ კანანელი ქალქსა ნიკოფსიას. ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან, რჯულის დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი და იძულებით კუალადვე მოაქცევნეს მეგრელნი და ლაზნი. და, დამალნეს ხატნი და ჯუარნი, შერისხა მეფე ადერკი ერისთავი კლარჯეთისასა, რომელ მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული". (გვ38-45. ქართლის ცხოვრება). მხოლოდ ზედაპირულად გვამცნობს ქართლის მეფის, ადერკის მიერ ერისთავთა გაგზავნით ლაზ მეგრელების, მშვიდობიანად კუალადვე მოქცევის. თითქოს თითის დაქნევით აღედგინათ ლაზ-მეგრელების მიერ ,,დარღვეული" სახელმწიფო წესწყობილება, ყოველივე კი პირიქით იყო. ეს იყო, უდიდესი სისხლის ღვრის შედეგად ,,ლაზ-მეგრელების" კუალადვე მოქცევა. სადაც მონაწილეობა მიიღო სპარსების და სხვა გადამთიელთა ერთიანმა ლაშქარმა. (აბა ადერკი თავისი ძალებით მართო რას გახდებოდა). მათ ამოწყვიტეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. განსაკუთრებით არ ინდობდნენ მცირეწლოვან ბავშვებს და ქალებს. ეს იყო ენით აუწერელი ხოცვა-ჟლეტა, სადაც სისხლი მდინარეებით მიედინებოდა. აი, ამ შემზარავ და სამარცხვინო ფაქტს მალავდა ივანე ჯავახიშვილი და სხვანი...

ასევე ჩემი ყურადღება მიიქცია ,,მოძმეთაგან ,,ლაზ-მეგრელების" მიმართ სიძულვილის ენამ. განსაკუთრებით აღმოსავლეთმა, რაშიც დამეთანხმებით ეს უარყოფითი დამოკიდებულება დღეს არ დაწყებულა, მას აქვს თავისი მიზეზი თუ მიზეზები, რომელსაც ასევე წარსულში მივყავართ...

აქედან გამომდინარე შევეცადე ბოლომდე ჩავწვდომოდი ,,ჩვენს ძმებში" ასე ღრმად, სისხლში და გონებაში გამჯდარი თაობიდან თაობაზე გენეტიკურად გადასული სიძველის მიზეზების გარემოებებს (ეს რათქმა უნდა ყველას არ ეხება, მაგრამ ვისაც ეხება ის თავად გამოავლენს აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ საკუთარ თავში ინსტიქტად ქცეულ სიძულვილს).

ასევე სამართლიანობა მოითხოვს, დაისვას შემდეგი კითხვა ,,აღნიშნულ ჟამთან დაკავშირებით, (ქართველ მემატიანეთაგან) რატომ არსად მოიხსენიება თუნდაც ერთი ლაზის ან მეგრელის სახელი, ვინც ქრისტეს ჯვარს, ხატს, სარწმუნოების დაცვას თავიანთი სიცოცხლე რომ ანაცვალეს და ზვარაკად შეეწირნენ ქრისტეს რჯულს. რა დროსაც არათუ ერთეულები, არამედ მთელი ერი ეწირებოდა ჭეშმარიტ სარწმუნოების დაცვას. რატომ არ მოიპოვება ამ ტრაგიკული ისტორიის შესახებ თუნდაც ერთი მცირედი ცნობა?! როდესაც მრავლად გვაქვს ისტორიული ფაქტები ქართველ მოწამეთა მიერ ქრისტეს სარწმუნოებას შეწირულების შესახებ. მაშ, რა დააშავეს წმინდა სარწმუნოებას შეწირულ ლაზ-მეგრელების წმინდა სულებმა? თუ ჩვენ ვიწოდებით მართლმადიდებელ ერად, რაშიც დიდი ეჭვი მეპარება: ისეთს ვხედავთ და ისეთი გვესმის. ალბათ, ბევრჯერ გიფიქრიათ კიდეც, როგორ ვინარჩუნებთ კიდევ ფეხზე დგომას. რამ გადაგვარჩინა და რა ძალამ მოგვიყვანა დღემდე. მე კი გეტყვით: ,,მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი სარწმუნოებას შეწირული, წმინდა მოწამეთა სულებმა და არა, იმ ვაი პოლიტიკოსების შემხედვარე, რომელთა უმრავლესობა, თავის სამშობლოს ხსნას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს, (რაც უდიდესი შეცდომაა). ისინი არა თავისი სამშობლოს ბედით არიან დაინტერესებული, არამედ გარე ძალებს ფეხებში ჩავარდნილები ევედრებიან: ,,შენი ვასალი ვიქნებით, ოღონდ ქვეყანაში ძალაუფლების ჩაგდებაში დამეხმარე. აი, ასე ეწევა ქვეყნის საზიანო პოლიტიკას ე.წ. პოლიტიკოსების 99%-ი, ერთი პრონცენტი კი როგორც ყოველთვის: ,,ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" რჩება. და ეს, (წარმოიდგინეთ) ჩვენი ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოქტრინად იქცა. აი, ასეთი რიტმით მიდის დღენი ჩვენნი ამა სოფელსა. საშველი კი ვერა და არ გვეღირსა. მიზეზებს სხვაზე გადაბრალებაში ხედავენ და მუდმივად ერთსა და იმავეს გაიძახიან: ,,რას უყურებს ეს ხალხი ამდენს რომ ითმენს", თითქოს თავად არ იყნენ ამ ერის ნაწილი. და კიდევ, ვინმე იტყვის, რომ ამ ხალხის წყალობით სულდგმულობს ჩვენი ქვეყანა? თავად განსაჯეთ! აი, მსგავსი ასეთი ძალები ზოგი თავისი ინერტულობით, ზოგი შეგნებულად ებრძოდნენ კოლხეთის დიდებას, რომლებიც ყველა მეთოდით ცდილობდნენ წაეშალათ კოლხეთის ისტორია. შეძლეს კიდეც, მხოლოდ მცირედი ცნობები შემორჩა კაცობრიობას. ისიც სხვა წყაროებში. თქვენ წარმოიდგინეთ დღემდე იმისი აღიარებაც არ უნდათ თუ რა ენაზე უბნობდნენ კოლხები და რომელი ენა იყო აიეტის სამეფოს სახელმწიფოებრივი ენა. ასევე დღემდე შეგნებულად მიჩქმალული აქვთ იოანე ღვთისმეტყველის მიერ ლაზური ენის დაფლვის შესახებ, რომელიც ,,გადმოჩხაბილ" (გადმომზეურებული) იქნა იონე ზოსიმეს მიერ მე-Xსს-ში (,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"), ხოლო ქართველ მეცნიერების მიერ ,,ენაი ლაზური" შეცვლილია ,,ენაი ქართულით", რაც უდიდესი მკრეხელობაა, რომელსაც ისტორიულ ფაქტთან არავითარი კავშირი არა აქვს. კვლავ ვუბრუნდები ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს: ,,ლაზეთ - სამეგრელოს დაცემის შემდეგ, ხელი შეუწყო წინა აზიაში, ჯერ ბიზანტიის, შემდეგ თურქ - ოსმალების გაბატონებას". სიტყვებიც კი არ მყოფნის, ქართლის მეფის ადერკის ვერაგული განზრახვის შესახებ, რაც მან ჩაიდინა, ეს იყო უდიდესი მტრობა და ღალატი! რამაც საბოლოოდ ლახვარი ჩასცა ჩვენი ერის მომავალს. ადერკის გამანადგურებელი დარტყმა, რომ არა, (გადამთიელთა დახმარებით). ჩვენი სამშობლო ერთ-ერთი მთავარი დომინანტი იქნებოდა მსოფლიოში. დღეს კი ყველაფერი პირიქით არის: ჩვენი ქვეყანა, ერთ-ერთი მთავარი დომინანტია მსოფლიოს დაქცეულ ქვეყანათა შორის. აი, შედეგი ჩვენი ძმობისა.

საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით რას აცხადებს პროფესორი ნ. ქუთელია: ,,ბიზანტიისა და ტრაპზონის დამხობის შემდეგ, ოსმალეთს თითქმის სამასი წელი დასჭირდა, რათა საბოლოოდ გაეტეხა ლაზ-მეგრელთა პოლიტიკური წინააღმდეგობა. ეს გახდა შემდეგ მიზეზი ლაზეთისა და ჩრდილო კავკასიის გამუსულმანების, სადაც ძლიერ მოიკიდა ფეხი ოსმალეთის იმპერიამ". რის შემდგომ იწყება მუდმივი უთანასწორო ომები, შევიწროება, ძირძველი ტერიტორიების დაკარგვა, (რაც დღემდე დაუსრულებლივ გრძელდება) დღეს კი, არანაკლებ ვერაგი რუსეთის იმპერია, რომელიც 2 საუკუნეზე მეტია გვებრძვის და ანადგურებს ჩვენს სამშობლოს. ქართულ ,,პოლიტიკოსთა ელიტა კი, ქვეყანაში, (აგრძელებს ანტიეროვნულ და ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას, რამაც ქვეყანა თითქმის განადგურებამდე მიიყვანა, ერთმანეთზე გადაბრალების რეჟიმში არიან.კარგად თუ ჩავუწვდებით ჩვენს წარსულ ისტორიას ფარნავაზიდან დღემდე. (სადაც ქართველმა იღო საკუთარ თავზე ქვეყნის მართვა-გამგეობა.) მშვიდობიანი ხანა თითქმის არ ქონია მცირედი მონაკვეთის გარდა. მუდმივი ომები, ტერიტორიების დაკარგვა, სისხლი და ცრემლი. აი, შედეგი ქართველთა მმართთველობისა. თუ არ ჩავთვლით, როგორც წარსულში, ასევე უახლეს საუკუნეში მცირედი გამობრწყინების გარდა, რისი მაგალითი 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები გახლდათ, სადაც თავისუფალი საქართველოს ერთიანობის სულმა გაიმარჯვა,მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს წმინდა გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა, იმ ვაი ქართველების მოდალატური საქმიანობის გამო, მეფის ადერკისა და ერისთავთა მსგავსად, რომელმაც მუხანათურად მახვილი ჩასცეს ,,ლაზეთ-სამეგრელოს ერთიანობას, ასევე წითელმა ინტელიგენციამ, რომლებმაც რუსეთის იმპერიის დახმარებით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება და პრეზიდენტი, რომელიც ჯერ განდევნეს თავის სამშობლოდან, ხოლო მისი დაბრუნების შემდეგ ვერაგულად მოკლეს. იმ მიზეზით, რომ **ზვიად გამსახურდია** მთელი თავისი ცხოვრება იბრძოდა დამოუკიდებელი, თავისუფალი ყოფილიყო თავისი სამშობლო. და, რომ ის არასოდეს დაუშვებდა ქვეყნის საწინააღმდეგო გამყიდველის პოლიტიკას. რაც დღემდე ასე დაუსრულებლად გრძელდება. მეორე ის, რომ პრეზიდენტი წარმოშობით მეგრელი იყო, რაც ასე ძლიერ აღიზიანებდათ მანქურთებს, ეს ვერ აიტანეს ქართველმა **კოლაბორაციონისტებმა** და ასევე საქართველოს მიმართ არ იშურებდნენ სხვადასხვა სახის სიძულვილით გაჟღენთილ ეპითეტებს: ,,დიქტატორი გამსახურდია," ,,როგორ დაუშვით მეგრელის გაპრეზიდენტება", ,,ჩაუსესკო", ,,ის არ უნდა დარჩეს ცოცხალი" და ა. შ. ასევე სამეგრელოს მიმართ: ,,პროვინციელები", ,,სუნიანი მეგრელები", ,,მოდალატე სამეგრელო", ,,ყველა მეგრელი უნდა ამოიძირკვოს", ,,მტრები", ,,სამარცხვინო მეგრელები" და ვინ იცის რამდენ ღვარცოფს აფრქვევდა მაშინდელი წითელი ინტელიგენცია.დღეს კი სახეშეცვლილი ,,დემოკრატები". ნაურუშიკი, სადაც ქვეყნის მაღალჩინოსნებს ჰალსტუხი შარვალზე აქვთ მიმაღლებული, რომლებიც ეხლა ეცნობიან დემოკრატიის მიზნებს, ისინიც კი პატივს სცემენ და ღირსეულად იცავენ თავიანთი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. აქ კი რა ხდება?! ვინ არიან ეს მოუშორებელი წითელი ქიმერები?! რომლებსაც არავითარი ეროვნული ღირებულებები არ გააჩნიათ გარდა ნგრევისა და პირადი კეთილდღეობისა.

აქედან გამომდინარე გადავწყვიტე ჩემსხელთ არსებული მწირი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული ცნობების საფუძველზე დაყრდნობით გიამბოთ ლაზეთ-სამეგრელოს უკანასკნელი ბასტიონის დამცველების, ჯანიკლისა და ბათალის გმირობის შესახებ.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ლაზ მეგრელი ხალხის ბრძოლამ ოსმალების წინააღმდეგ სათავეში ედგა **ჯანიკლის** ფეოდალური საგვარეულოს თავკაცი ,,ხვანთკრის რისხვად" წოდებული ჯანიკლი ალი ფაშა და ბათალ ბეი (ასე უწოდებდნენ ოსმალები). ჯანიკლი ლაზისტანს განაგებდა 1749-1755წწ-ში. მას ემორჩილებოდა 4 სადროშო (საჯანყი) და 60 მაზრა, მსოფლიოში განთქმული უძველესი ქალაქებით: ტრაბზონი, სინოპი, არზრუმი, ამასია. ჯანიკლის სამეფოში შედიოდა: კუნჯუდაზის რეიდსა და ყიზილერმაკის შესართავთან ახლოს სამსუნის ყურეს შორის თემისკირის ქვეყანა თავისი მდიდარი ბუნებრივი რესურსებით. (ოქრო, სპილენძი, რკინა, თითბერი, თუთია). მოხსენიებული ნავსადგურებით, მიუხედავად ისლამის გაბატონებისა, ლაზების ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ, არცერთი წუთით არ შეწყვეტილა. ოსმალები ლაზისტანში ბევრჯერ შეიჭრნენ, მაგრამ იქ ფეხს ვერ იკიდებდნენ(ნ. ქუთელია). მამა-შვილის მეთაურობით ლაზ-მეგრელების გააფორებული წინააღმდეგობის გამო და ამარცხებდნენ კიდეც. წარმატებებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ლაზ-მეგრელების თავზარდამცემი შეძახილები - ყიჟინა! რაც მტრის ბრძოლის უნარიანობას პარალიზებულს ხდიდა. სასტიკად გამანადგურებელი ყიჟინა მტრის ფსიქიკაზე პანიკურად მოქმედებდა და შიშის გამო დამფრთხალები უკან გარბოდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ ძილსაც კი უფრთხობდათ. ისე ღრმად იღექებოდა მათ გონებაში, რაც შემდეგ თაობებს გენეტიკურად გადეცა. და ეს შიში ყიჟინის ისეთივე გამანადგუილრებელი გახდა როგორც ეშმაკისთვის ჯვრის ხიწვა. ეს ხომ არ არის მთავარი მიზეზი წარსულიდან მოყოლებული დღემდე თაობიდან თაობაზე გადასული ლაზ-მეგრელების ენის მოსმენა, იმ გვარგადაკეთებული ვაიქართველებისათვის? კვლავ გავმეორდები, ეს ქართველს არ ეხება, ვისაც ის ეხება, ის თავად ავლენს მეგრულ-ლაზურ ენის გაგონებაზე არნახულ გაღიზიანებას. აი, ესენი გახლავთ გვარგადაკეთებული ქართველები, რომლებიც დღეს, თითქმის ქვეყნის ყველა საკვანძო მართვის სფეროში არიან ჩაბუდებულები. აი, ამიტომ არ გვეღირსა თავისუფლება და ეს მანამ გაგრძელდება სანამ ძირეულად არ მოხდება ყოველი კონკრეტული პიროვნების სრული გენეტიკური წარმომავლობის შესწავლა და ფილტრაცია. (ვისაც გაუჩნდება ქართულ პოლიტიკაში ჩართვა-გამგეობა) ეს კი ძალუძს, მხოლოდ ეროვნულად მოაზროვნე ღირსეულ მამულიშვილებს, აი, აქეთკენ უნდა მიმართოს ქართველმა ერმა მთელი თავისი ძალისხმევა, თუ მას სურს იყოს რეალურად დამოუკიდებელი და თავისუფალი.

ამ იმედით გემშვიდობებით...

პატივისცემით ნიკოლოზ იბერი
ფუთი
2019 **წელი**

ხსოვნა

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადა"

ციალა კურდღელია



დედასთან არის დაკავშირებული ქართველი კაცის სანუკვარი და ტკბილი დღეები. დედის სახელთანაა დაკავშირებული, რაც კი ძლიერი და ამაღლებულია: დედამიწა, დედაბოძი,დედასამშობლო, დედაენა და ა. შ.

ქნ-ი ციალა კურდღელია, მართლაც იყო გამორჩეული ქალბატონი, რომელსაც ყველა ეს ეპითეტი მიესადაგებოდა. მშრომელი, პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სტუმართმოყვარე, არამარტო თავისი შვილების, არამედ სხვისი შვილების აღმზრდელი პედაგოგი. სამწუხაროა, რომ ასეთი დედები და მოქალაქეები გვაკლდებიან. ციალა კურდღელიას გვერდით ედგა შესანიშნავი მეუღლე, ნოდარ კურდღელია. უმაღლესი რანგის პედაგოგი და აღმზრდელი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ფოთის №12 საშუალო პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. შემდეგ სენაკის და ბოლოს, ხობის პროფესიული სასწავლებლის დირექტორად. იგი იყო უპატიოსნესი პიროვნება და პროფესიონალი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ფოთის, ასევე-სენაკისა და ხობის საზოგადოებაში.

სამწუხაროდ, ბატონი ნოდარი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ქნ-ი ციალა ღირსეულად განაგრძობდა შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნვას. მათ მიერ აღზრდილ შვილებს ღირსეული ადგილი უკავიათ ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში, გოჩა კურდღელია ფოთის მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე ნაყოფიერად იღწვის.

ქალბატონ ციალას გულით დაქონდა შვილის, ბადრის ტრაგიკულად დაიღუპვით გამოწვეული უდიდესი ტკივილი, მაგრამ ღმერთის შეწევნით შვილები და შვილიშვილები უქარვებდნენ ამ ტკივილს. ქალბატონი ციალას სიამაყე იყო ბადრის ერთადერთი ქალიშვილი თეკლა, რომელიც წარმატებული გოგონაა, ერთგულად ატარებს ქალობის, დედობის სახელს ქნ-ი მაკა ხუნჯუამ. ნაადრევად ტკივილიანი გზა განვლო. დედა-შვილი ესათუთებიან მამის და მეუღლის საფლავს.

ჩვენ, შვილები მუდამ ვალში ვართ მშობლების წინაშე, ალბათ მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ვინაიდან, ხომ ვამბობთ „სანამ დედა გვყავს არ დავბერდებითო". მართალია, მას შვილების და შვილიშვილების სიყვარული არ აკლდა, თუმცა, დედის ამაგი შეუფასებელია. წავიდა ამ ქვეყნიდან ამაგდარი, ოჯახის ბურჯი, მშრომელი, პატიოსანი დიდი ქალბატონი. მოსიყვარულე დედა და ბებია...რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება შვილების, შვილიშვილების და ახლობების გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ოჯახის ახლობლები

დოდო და ბეჟან ჯალაღანიები, ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი და ბრწყინვალების ორდენის კავალერი

გერონტი (ჯუკა) კუხაღეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მედია და ვანო ნარმანიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ბრწყინვალების და ღირსების ორდენოსანი, ფოთის საპატიო მოქალაქე

გერონტი კუხაღეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რიმა (ნია) და ინგა შუბითიძეები თანაუგრძნობენ ლელა კუხალეიშვილს მამის

გერონტი კუხაღეიშვილის

გარდაცვალების გამო.

დოდო და ვაგნერ მხეიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პიროვნების, წლების განმავლობაში ქალაქის ხელმძღვანელის

გერონტი კუხაღეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

მზია და ჟერონ შუბითიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი პიროვნების

გერონტი კუხაღეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

პეტრე მიასნიკოვი

საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ 93 წლის ასაკში გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ფოთელი მონაწილე --- ბატონი პეტრე ალექსის-ძე მიასნიკოვი!

გადაიფურცლა დიადი და გმირული ეპოქის ისტორიის უკანასკნელი ფურცელი!

მშვიდობით სამშობლოს ღირსეულო შვილო - გამარჯვების ჯარისკაცო!

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა!

მარადიული თქვენ ხსოვნა სახელითა მამისა ძისა და სულისა წმინდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

„სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა"

ალიკა ლოლუას ხსოვნას

ბევრი ღირსეული ფოთელი, კარგი ვაჟკაცი დააკლდა ქალაქს, ქვეყანას. სოფლის უკუღმა ტრიალმა დააჩქარა მათი გარდაცვალება,

უიმედობა, შური, მტრობა, დაეპატრონა ქვეყანას. მიუხედავად მძიმე პერიოდებისა, ალიკა ლოლუამ ღირსეულად ატარა ახალი თაობის ტვირთი-ტვირთი ქალაქის, ქვეყნის და ხალხის სიყვარულისა. ნიჭი და ტალანტი გენეტიკურად მოსდგამდა დიდი ლოტბარის -ძუკუ ლოლუას შვილიშვილს. იგი ასევე ცნობილი პიროვნებების, დიდი პედაგოგის მოჭადრაკის და ხელოვანის - ირაკლი (ბოჩიკა) ლოლუას შვილი იყო. სრულიად ახალგაზრდა კაცი ჯერ კომკავშირის კომიტეტში დააწინაურეს შემდეგ კი პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად გადაიყვანეს. მრავალმხრივი ინტელექტი, ორგანიზატორული ნიჭი, ჰუმანურობა, განსაკუთრებით გამოარჩევდა და ყველას სიმპატიას იმსახურებდა.

სანიმუშო ოჯახი შექმნა, საოცარი მეუღლე და მამა იყო, ეამაყებოდა შვილის-დიდი პიანისტის-მარიამის წარმატებები, თითქოს მასში ამოხეთქა გენეტიკურმა კოდმა. ასევე, წარმატებული პიროვნებაა მისი ვაჟი ირაკლი.

ბოლოს დარდი შეეპარა მუდამ მხიარულ და სიცოცხლით სავსე კაცს, მაგრამ ეს მარტო მისი პირადი დარდი არ იყო, მას ქვეყანაში გამეფებული უსამართლობა და გაუტანლობა სტანჯავდა. წინ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, ორი საუკუნის მიჯნაზე იცხოვრა, ორ წყობას მოესწრო, ბოლომდე ძლიერი და გაუტეხელი დარჩა. სჯეროდა მომავლის, ქართველი კაცის ნიჭის ძლიერების. მას განსაკუთრებით უყვარდა მშობლიური ქალაქი ფოთი-ფაზისი და ფაზისელები. კოლხი კაცის ხასიათი ბოლომდე ატარა. სწორედ, ასეთები ქმნიდნენ ქალაქის ავტორიტეტს, სახეს და ხასიათს. „ფოთელებს ერთი სიყვარული გვაქვს" - ამ დევიზით იცხოვრა, იშრომა და დაგვემშვიდობა.

დასანანია, რომ ვერ მოესწრო ცხოვრების შემოდგომას, ვერ გაიხარა ბოლომდე ამქვეყნიური მადლით, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრო-კაცობა და სიყვარული მიყვება საგზლად. ჩვენც ხშირად მოგვენატრება და გულს გვატკენს, რომ დაგვტოვა. ძალიან დაგვაკლდება ლამაზი, დიდბუნოვანი კაცი-საქმიანი, ყველას ჭირის მოზიარე, არადა „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი".

სხვა რა დაგვრჩენია, ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები... ნუთუ, საფლავისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად?

ღმერთს ებარებოდე!

მეგობრები

ხსოვნა

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს „მიდიხარ ტკბილი გძინდეს მგზავრობა"

ნოდარ გიორგის ძე ნიკოლაიშვილი

ხანგრძლივი ავადმყოფობი შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, წლების განმავლობაში ფოთის ღვინის ქარხნის დირექტორი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, ფოთზე და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული, ამაგდარი და მუხლჩაუხრელი მუშაკი ნოდარ გიორგის ძე ნიკოლაიშვილი.

ნოდარ ნიკოლაისვილი ბოლო შვიდი წელი არ გამოჩენილა ფოთის საზოგადოების წინაშე. რამეთუ ცხოვრების მიერ მიყენებულმა ჭრილობებმა უდიდესი ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას.

ნოდარ ნიკოლაიშვილი დაიბადა 1932 წელს ფოთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში მეღვინეობის ფაკულტეტზე. რომლის დამტავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა ოზურგეთის ღვინის ქარხანაში. მალე იგი გადმოდის ფოთის ღვინის ქარხანაში სადაც მან მთელი ცხოვრება იმუშავა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

სწორედ ფოთის ღვინის ქარხანაში ჩამოყალიბდა იგი ერუდირებულ და ფრიად განსწავლულ ხელმძღვანელად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ფოთის ღვინის ქარხანა რესპუბლიკაში გახდა ერთ-ერთი მოწინავე საწარმო.

ნოდარ ნიკოლაიშვილი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ფოთის საზოგადოებაში. ქალაქში არ ტარდებოდა ღონისძიება მას რომ არ მიეღო აქტიური მონაწილეობა. იგი იყო ფოთელთა თითქმის ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი. მათი ლხინისა და ჭირის გამზიარებელი, ამიტომაც უყვარდათ იგი და პატივს მიაგებდნენ.

ორი საუკუნის გზაგასაყარზე იცხოვრა, იშრომა და იღვაწა. ადამიანის ცხოვრება არასდროს ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. მისი ცხოვრება დარდიანი, ტკივილიანი და მაინც იმედიანი იყო. სიხარულითა და ბედნიერებით აღსავსე იყო. თავისი ეპოქის შვილი იყო და მის თაობასთან ერთად ფოთის სახეს ქმნიდა. ამ თაობის დევიზი იყო „ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ"-ამით ყველაფერი იყო ნათქვამი - ჰუმანურობა, კაცობა, სიყვარული აერთიანებდა თაობებს და ასე მოდიოდა ტრადიციად.

ქართველი კაცისთვის ოჯახი უპირველესი საზრუნავია, როგორც ქვეყნის ფუძე. ნოდარ ნიკოლაიშვილი აქაც სანიმუშო იყო, რამეთუ გვერდში ედგა მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი დედა, მაგრამ ბედმა არ გაუმართლა და ქალბატონი მიმოზა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. თითქოს შეწყდა სიცოცხლის ძაფი, გადატყდა მთავარი ხერხემალი, მაგრამ ნოდარიმ გაუძლო ამ ტკივილს, წინ დიდი საწუხარი ელოდა. გარდაეცვალა უმცროსი ვაჟიშვილი ირაკლი, ეს კი მეტისმეტი იყო. მხოლოდ ვაჟიშვილი ალექსანდრე (ალიკა) და შვილიშვილები ნოდარიკო და დემეტრე შემორჩა. ვერაფერმა შეცვლა ეს დიდი ტკივილი, დარდი უსიტყვო, დაუნდობელი მკვლელია... და აღესრულა ჭეშმარიტი სიყვარულით აღსავსე. ქალაქზე მზრუნველი კაცი, რომელიც ფოთელებისთვის ესოდენ დაფასებული პიროვნება იყო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

უახლოესი მეგობრები

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში" E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა